



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაბუნია ნოდარ ალექსანდრეს ძე

გაბუნია ნოდარ ალექსანდრეს ძე (23. IV. 1936, სოფ. ამაღლება, ვანის მუნიციპალიტეტი), მეცნიერი მექანიზაციის დარგში. სოფ. მეურნ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1994), ტექ. მეცნ. დოქტორი (1991). დაამთავრა ქუთ. სას.-სამ. (ამჟამად საქართვე. სუბტროპ. მეურნ.) ინ-ტის მექანიზაციის ფაკ-ტი (1958). მუშაობა დაიწყო ამავე ინ-ტში ავტომობილებისა და ტრაქტორების კათედრაზე უფროს მასწავლებლად. 1962–68 იყო კ. ამირაჯიბის სახ. მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ჩაის მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის საპრობლემო ლაბორატორიაში მანქანათა თეორ. და ექსპერ. კვლევის განყ-ბის გამგის მოადგილე, 1968–71 – ჩაის კრეფის მექანიზაციის განყ-ბის გამგე. 1971–86 მუშაობდა სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა სრულიად საკავშირო სათავო სამეცნ.-კვლ. და საკონსტრუქტორო ტექნოლ. ინ-ტში („ВНИИгорсельмаш“) ჯერ ჩაის საკრეფი მანქანების განყ-ბის გამგედ, შემდეგ – დირექტორის მოადგილედ სამეცნ. დარგში, 1986–92 – ამავე ინ-ტის მეთაურობით შექმნილი სამეცნ. საწარმოო გაერთიანების „საქსოფლმანქანმშენის“ გენერალური დირექტორის პირველ მოადგილედ. 1992-იდან საქართვე. სას.-სამ. მანქანათმშენებლობის სამეცნ.-კვლ. და საკონსტრუქტორო-ტექნოლ. ინ-ტის („საქაგრომანქანა“) გენერალური დირექტორის პირველი მოადგილეა. გ-ს სამეცნ. შრომებისა და გამოგონებების ძირითადი მიმართულებებია: ჩაის მოვლა-მოყვანის შრომატევადი პროცესების, აგრეთვე სამთო მიწათმოქმედების მექანიზაცია; ფერდობმავლებისა და სხვა სას.-სამ. ტექნიკის ავტომ. სტაბილიზაციისა და მართვის სისტემები; მცირეგაბარიტიანი სას.-სამ ტექნიკისა და მცირემექანიზაციის საშუალებების კვლევა და სხვ. გ-ს გამოგონებები დანერგილია წარმოებაში. არის სოფ. მეურნ. მექანიზაციის, ელექტროფიკაციის, ავტომატიზაციისა და სას.-სამ. მანქანათმშენებლობის სამეცნ. საექსპერტო საბჭოს თავ-რე (1993), სას.-სამ.

ტექნიკის საერთაშ. გამოფენების არაერთგზის მონაწილე. დაჯილდოებულია რამდენიმე ოქროსა და ვერცხლის მედლით.

თბზ.: Машины для возделывания и сбора чая. Учебное пособиеб Тბ., 1991
(თანაავტ.: ო. თევდორაძე, თ. ჭეიშვილი).
